ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №110

15 თებერვალი 2012 წელი ქ. ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10' მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად

ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეულის ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის გიორგი თევდორაძის სახით (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი-ქალაქ ქუთაისის მერის გიორგი თევდორაძის ნერილი №01-769 07. 02. 2012 წელი, მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ს/კ 212721170 ტელ:24-54-54) (შემდგომში "შემსყიდველი")

მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ორისი", მისი დირექტორის დავით გოთოშიას სახით (ს/კ 206033754, საქართველოს ბანკი ა/ა GE88BG0000000120121601 BAGAGE22) (შემდგომში "მიმწოდებელი")

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიისათვის პროგრამა „ორის-მენეჯერის" სერვერის ლიცენზიისა (MSL/U) და მომხმარებლის (MN1/U) 5 ლიცენზიის განახლების მომსახურების შესყიდვა.

1.2. ხელშეკრულების ღირებულებაა 2490.00 (ორიათასოთხასოთხმოცდაცამეტი) ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, რაც შეადგენს 5468.54 (ხუთიათასსუთასი-) ლარს. (დანართი 1 რომელიც არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი)

1.3. კლასიფიკატორის კოდი – 48900000

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველის" მხრიდან "მიმწოდებლის" მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ მომსახურებაზე კონტროლს განახორციელებს ქალაქ ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახური, თანახმად წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში გააჩნია უფლება შეაჩეროს მომსახურება.

„შემსყიდველი" ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულების შემდგომ, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანხმლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისათვის" (გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

3 გარანტია

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შეასრულებს მომსახურებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

კომპიუტერული პროგრამა წარმოადგენს შ.პ.ს. „ორისის" საკუთრებას და დაცულია კანონით.

ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის განმავლობაში შ.პ.ს. „ორისი" უზრუნველყოფს სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შ.პ.ს. „ორისის" ტერიტორიაზე. შემსყიდველს აგრეთვე უფლება აქვს მიიღოს პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

4.ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე.

4.2 მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს

ა) ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ან/და მომსახურების მოცულობა და ღირებულება

ბ) ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ან/და მომსახურების შესაბამისად ამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა.

4.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო და განხორციელდება ლარებში, გადახდის პერიოდისთვის არსებული ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად.

4.4 ანგარიშსწორების ვადაა: დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

5.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2012 წლის 15 თებერვლიდან 2013 წლის 01 იანვრამდე.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

7.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

9.2 პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს შემსყიდველის ყველა მოთხოვნას. მიმწოდებელი არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. „მიმწოდებელი" არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც, თუ შ.პ.ს. „ორისი" წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ. არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.

9.3 პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, შემსყიდველს აქვს უფლება იმუშაოს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

9.4 შემსყიდველს შეუძლია გადასცეს სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, შემსყიდველმა უნდა გადასცეს მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თავის კომპიუტერზე წაშალოს პროგრამის ყველა ასლი.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა

[illegible] კაპიტალის, კრედიტების, კაპასიტეტისა და საქონლის ძიებოდებაზე ეძბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების, გადასახდელების გადახდაზე.

გიორგი თევდორაძე	დავით გოთოშია
ქალაქ ქუთაისის მერი	შ.პ.ს. „ორისის" დირექტორი
(შემსყიდველი)	(მიმწოდებელი)